დიმიტრი ფირბარი

ნოდარ მოსაკი

ეზიდური ხელნაწერი - ფირ ომარხალანის „მშური“, მისი შესწავლა და კრიტიკული ანალიზი

რეზიუმე

ეზიდური რელიგია, ეზიდური მშურები, ფირ ომარხალანი, შეიხ ჰასან ადი

როგორც ცნობილია, ეზიდური რელიგია ეფუძნება რელიგიური ტრადიციის ზეპირ გადმოცემას. ამ თვალსაზრისით, ნაკლებად ცნობილი წმინდა ხელნაწერები - „მშურები“ - წარმოადგენს ერთ-ერთ იშვიათ და უმნიშვნელოვანეს წერილობით წყაროს ეზიდების ისტორიისა და რელიგიის შესასწავლად. ჯერჯერობით მხოლოდ სამი ასეთი დოკუმენტია გამოქვეყნებული. ეზიდური სასულიერო კასტის ფირების გარკვეულ გვარებს მიკუთვნებული ეს დოკუმენტები წარმოადგენს ერთგვარ სიგელებს, რომლებშიც მურიდების გარკვეული ტომები ფირების ამა თუ იმ კონკრეტულ გვარს არის მიწერილი.

სტატიაში მოცემულია ეზიდთა ერთერთი წმინდანის - ფირ ომარხალანის - „მშურის“ კრიტიკული ანალიზი. ცნობილია, რომ ომარხალანი იყო გამოჩენილი ეზიდი წმინდანის, შეიხ ჰასან ადის, უახლოესი თანამებრძოლი.

სტატიაში წარმოდგენილია ინფორმაცია ფირ ომარხალანის და მრავალი ეზიდი წმინდანის შესახებ.

გარდა ამისა, გაანალიზებული „მშურის“ გათვალისწინებით, ავტორები ცდილობენ დააზუსტონ ზოგიერთი ეზიდი წმინდანის სახელები, რომლებიც გვხვდება შეიხი ადისა და შეიხი ჰასანის „ორმოც წმინდან“ თანამებრძოლს შორის. ისინი მოხსენიებულნი არიან ადრევე გამოქვეყნებულ ხელნაწერებშიც, კერძოდ, ფირ ხატიპსის და ფირ ამარ ყუბაისის მშურებში.